



დანართი

დამტკიცებულია:

სსიპ კოლეჯის „ბლეკი“ დირექტორის

2022 წლის 04 მაისის №01-02/81 ბრძანებით

სამშენებლო მიმართულებით განსახორციელებელ პროფესიული მომზადების
პროგრამებზე მსმენელთა ჩარიცხვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სამშენებლო მიმართულებით განსახორციელებელ პროფესიული მომზადების პროგრამებზე - მსმენელთა შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება ამ წესითა და „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N 71/ნ ბრძანების შესაბამისად.
2. ეს წესი, კოლეჯის კომპეტენციის ფარგლებში, არეგულირებს აპლიკანტთა შერჩევისა და მსმენელთა ჩარიცხვის პროცედურას.
3. ამ წესის მოქმედება ვრცელდება შემდეგ პროფესიული მომზადების პროგრამებზე: „ყალიბების მოწყობა მშენებლობის პროცესში და ყალიბში ბეტონის ჩაწყობა“ და „საარმატურე სამუშაოები“ .
4. მსმენელთა ჩარიცხვის წესი გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის პროგრამაზე გამოცხადებულია აპლიკანტთა ღია წესით რეგისტრაცია.

მუხლი 2. აპლიკანტთა რეგისტრაციის გამოცხადება

1. პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა ჩარიცხვის მიზნით, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, კოლეჯი, დადგენილი წესით ავსებს ელექტრონულ განაცხადს, რითაც აცხადებს აპლიკანტთა ღია წესით რეგისტრაციას.
2. პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რეგისტრაციის ვადა, მისაღები ადგილების რაოდენობა (მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე/შეზღუდული საჭიროების მქონე პირთათვის გათვალისწინებული ადგილების რაოდენობა) და სხვა საჭირო ინფორმაცია მიეთითება ელექტრონულ განაცხადში.

მუხლი 3. აპლიკანტთა რეგისტრაცია



1. პროფესიული მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, კოლეჯის მიერ განსაზღვრულ ვადაში, აპლიკანტი დადგენილი წესით, გადის ელექტრონულ რეგისტრაციას, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
2. აპლიკანტი უფლებამოსილია გაიაროს რეგისტრაცია იმ შემთხვევაში, თუ აკმაყოფილებს შესაბამისი პროფესიული მომზადების პროგრამით გათვალისწინებულ დაშვების წინაპირობებს.
3. იმ პროფესიული მომზადების პროგრამაზე, რომელზეც კოლეჯი აცხადებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მსმენელთა/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მსმენელთა მიღებას, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები უფლებამოსილი არიან, გაიარონ რეგისტრაცია.

მუხლი 4. აპლიკანტთა შერჩევა

1. პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისია აფასებს რეგისტრირებულ აპლიკანტებს.
2. პროფესიული მომზადების პროგრამაზე აპლიკანტთა შეფასების თარიღებს/პრაქტიკული მოსინჯვის თარიღებს განსაზღვრავს კოლეჯის დირექტორი, არაუგვიანეს შეფასების/პრაქტიკული მოსინჯვის თარიღამდე 5 დღისა.
3. პროფესიული მომზადების პროგრამაზე, შეფასების/პრაქტიკული მოსინჯვის თარიღის თაობაზე აპლიკანტს ინფორმაციას მიაწვდის საკონკურსო კომისია, აპლიკანტის მიერ რეგისტრაციისას მითითებულ ელ-ფოსტაზე ან/და ტელეფონის ნომერზე, არაუგვიანეს 3 სამუშაო დღით ადრე შეფასების თარიღამდე.
4. კოლეჯის შეფასების მეთოდია გასაუბრება.
5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტები/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე აპლიკანტები შეფასების პროცედურის ნაცვლად გაივლიან პრაქტიკული მოსინჯვის პროცედურას, ამ წესის მე-5 მუხლის მიხედვით.
6. აპლიკანტთა ფასდება შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, №1 დანართის შესაბამისად, 15 ბალიანი ქულათა სისტემით.
7. მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 8 ქულა. აპლიკანტი რომელიც ვერ გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, კარგავს შესაბამის პროფესიული მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას.

მუხლი 5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე აპლიკანტთა შერჩევა

1. სპეციალური საჭიროების მქონე აპლიკანტები/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები იმ პროფესიული მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით, რომელზეც კოლეჯი აცხადებს სპეციალური საჭიროების მქონე მსმენელთა/შეზღუდული საჭიროების მქონე მსმენელთა მიღებას, გაივლიან პრაქტიკული მოსინჯვის პროცედურას.

2. პრაქტიკული მოსინჯვის მიზნით, კოლეჯის დირექტორი ქმნის პრაქტიკული მოსინჯვის ჯგუფს, დარგის სპეციალისტისა და კოლეჯის ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მონაწილეობით.

3. იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აპლიკანტის უნარები თავსებადია შესაბამის პროფესიული მომზადების პროგრამასთან, პრაქტიკული მოსინჯვიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, პრაქტიკული მოსინჯვის ჯგუფი ადგენს რეკომენდაციას, აპლიკანტისთვის პროფესიული მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსის მინიჭების თაობაზე. სხვა შემთხვევაში, პრაქტიკული მოსინჯვის ჯგუფი ადგენს უარყოფით დასკვნას.

მუხლი 6. საკონკურსო კომისიის ფორმირებისა და მუშაობის წესი

1. შესაბამის პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა შერჩევის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება საკონკურსო კომისია, არანაკლებ 3 წევრის მონაწილეობით. დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განისაზღვრება კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.
2. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული მომზადების პროგრამის თანაგანმახორციელებელია პარტნიორი საწარმო, საკონკურსო კომისიაში აუცილებლად მონაწილეობს ამ საწარმოს წარმომადგენელი.
3. საკონკურსო კომისია ორგანიზებას უწევს აპლიკანტთა შეფასების პროცესს, აფასებს აპლიკანტებს და ახორციელებს სხვა უფლება-მოვალეობებს, რომლებიც აპლიკანტთა შეფასებას უკავშირდება.
4. შეფასების კომისიის მდივანი ამზადებს კომისიის ოქმებს.
5. საკონკურსო კომისიის ყველა წევრი, გარდა კომისიის მდივნისა, აფასებს აპლიკანტს.
6. კომისიის წევრი აპლიკანტს აფასებს ინდივიდუალურად, თანდართული კრიტერიუმების მიხედვით.
7. აპლიკანტის მიერ დაგროვილი ქულა გამოიანგარიშება საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ დასმული ქულების ჯამის საკონკურსო კომისიის შემფასებელ წევრთა რაოდენობაზე გაყოფით.
8. შეფასების შედეგები აისახება საკონკურსო კომისიის ოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 7. აპლიკანტთა შეფასების/პრაქტიკული მოსინჯვის პროცესი

1. აპლიკანტი უფლებამოსილია იცნობდეს შეფასების კრიტერიუმებს;
2. აპლიკანტი ვალდებულია, შეფასების/პრაქტიკული მოსინჯვის პროცესის დაწყებამდე 30 წუთით ადრე გამოცხადდეს კოლეჯში (ქ. ბათუმი, ლერმონტოვის N92ა) და გაიაროს რეგისტრაცია.
3. რეგისტრაციისთვის აპლიკანტმა თან უნა იქონიოს პირადობის მოწმობის ასლი.
4. იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტულ პროფესიული მომზადების პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა შესაბამისი განათლება, აპლიკანტმა რეგისტრაციისას უნდა წარმოადგინოს შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი/ცნობა.
5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტმა და შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე აპლიკანტმა რეგისტრაციისას ასევე უნდა წარმოადგინოს ექსპერტთა გუნდის დასკვნა ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.
6. აპლიკანტი, რომელიც რეგისტრაციისას არ წარმოადგენს მისთვის ამ მუხლით განსაზღვრულ დოკუმენტებს, შეფასების/პრაქტიკული მოსინჯვის პროცესზე არ დაიშვება.
7. შეფასებაზე/პრაქტიკული მოსინჯვის პროცესზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, აპლიკანტი კარგავს შესაბამის პროფესიული მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებას.
8. აპლიკანტთა შეფასების/პრაქტიკული მოსინჯვის დასრულების შემდეგ, შესაბამისი საკონკურსო კომისია/პრაქტიკული მოსინჯვის ჯგუფი, აპლიკანტების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს გადასცემს კოლეჯის საქმისმწარმოებელს.

მუხლი 8. აპლიკანტთა საკონკურსო სიის შედგენა და აპლიკანტისთვის პროფესიული მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების სტატუსის მინიჭება

1. პროფესიული მომზადების პროგრამაზე შეფასების დასრულების შემდეგ, აპლიკანტთა შეფასების შედეგების მიხედვით, საკონკურსო კომისია ადგენს აპლიკანტთა საკონკურსო სიას.
2. თანაბარი ქულის მქონე აპლიკანტები საკონკურსო სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.
3. შეფასების დასრულებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, საკონკურსო სიის საფუძველზე, საკონკურსო კომისია კოლეჯის დირექტორს წარუდგენს იმ აპლიკანტთა სიას, რომელთაც უნდა მიენიჭოთ პროფესიული მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსი.
4. აპლიკანტს პროფესიული მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება მიენიჭება შესაბამისი პროფესიული მომზადების პროგრამისათვის გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და საკონკურსო სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით.

5. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი საკონკურსო სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი შესაბამის პროფესიული მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში, ჩარიცხულ პროფესიულ მსმენელთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ პროფესიული მომზადების პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას, მისაღებ მსმენელთა რაოდენობა გაიზრდება იმ ოდენობით, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად.

6. აპლიკანტთათვის პროფესიული მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მინიჭების მიზნით, კოლეჯის დირექტორი, ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებულ სიას, მიღებიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დრისა, შესაბამისი რეზოლუციით გადასცემს კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტს, რომელიც, დადგენილი წესით, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, აპლიკანტებს მიანიჭებს პროფესიული მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსს.

მუხლი 9. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე აპლიკანტებისთვის პროფესიული მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მინიჭება

1. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე/შეზღუდული შესაძლებლობების მქონე აპლიკანტებს შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსი ენიჭებათ პრაქტიკული მოსინჯვის ჯგუფის დადებითი რეკომენდაციის საფუძველზე.

2. იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის პროფესიული მომზადების პროგრამაზე დადებითი რეკომენდაციის მქონე აპლიკანტთა რაოდენობა აღემატება მისაღები ადგილების ოდენობას, პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსი მიენიჭება იმ აპლიკანტს, რომელიც ყველაზე ადრე დარეგისტრირდა ამ პროფესიული მომზადების პროგრამაზე.

მუხლი 10. მსმენელთა ჩარიცხვა

1. სწავლის დაწყების თარიღამდე არაუგვიანეს 3 დღისა, შესაბამის პროფესიული მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე აპლიკანტებს ენიჭებათ მსმენელის სტატუსი, რაც დასტურდება მათთან გაფორმებული ხელშეკრულებით.

2. შესაბამის პროფესიული მომზადების პროგრამაზე მსმენელთა ჩარიცხვის შესახებ, კოლეჯის დირექტორის გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

3. პროფესიული მომზადების პროგრამაზე ჩარიცხული მსმენელების შესახებ ინფორმაციას კოლეჯის რეესტრის წარმოების სპეციალისტი, მისთვის ინფორმაციის გადაცემიდან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, მაგრამ, არაუგვიანეს სწავლის დაწყებამდე, ასახავს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.



3. მსმენელთა ჩარიცხვის პროცედურების დასრულების შემდგომ, კოლეჯის საქმისმწარმოებელი ამ წესის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად გადაცემულ დოკუმენტაციას განათავსებს მსმენელთა პირად საქმეში. იმ აპლიკანტთა მონაცემები, რომლებმაც ვერ მოიპოვეს მსმენელის სტატუსი, ნადგურდება.

მუხლი 11. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება

1. ჩარიცხვის პროცესის დასრულების შემდეგ თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის მოადგილის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე, კოლეჯის ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი დაუკავშირდება იმ აპლიკანტებს, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე, მაგრამ კონკურსის გამო ვერ მოხვდნენ ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა სიაში.

2. კოლეჯი ვალდებულია, ამ კატეგორიის პირთათვის მსმენელის სტატუსის მინიჭება, ხელშეკრულების გაფორმება და ელექტრონულ სისტემაში ასახვა უზრუნველყოს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.



აპლიკანტის შეფასების კრიტერიუმები
სამშენებლო მიმართულების პროფესიული მომზადების პროგრამებისათვის -
„ყალიბების მოწყობა მშენებლობის პროცესში და ყალიბში ბეტონის ჩაწყობა“ და „საარმატურე სამუშაოები“

აპლიკანტის შეფასების კრიტერიუმები					
N	შეფასების კრიტერიუმები	ქულა			
		3 ძალიან კარგი	2 კარგი	1 დამაკმაყოფ ილებელი	0 არადამაკმაყ ოფილებელი 0
1	მოტივაცია (ინტერესი პროფესიისადმი)				
2	ხედვა პროგრამის ფარგლებში პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით				
3	ლოგიკური აზროვნების უნარი				
4	დეტალებზე ორიენტირებულობა				
5	კომუნიკაციის უნარი				